საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-874

30/10/2018

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქალაქ თერჯოლის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ნაპირდაცვით სამუშაოებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქალაქ თერჯოლის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ნაპირდაცვით სამუშოების სკრინინგის განცხადება.

პროექტით გათვალისწინებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში, შპს„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ33.08.38.011) კომპანიის სათავე ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის დაცვა, მდინარე ჩოლაბურისმარჯვენა სანაპიროზე გაბიონის ტიპის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა.უახლოესი საცხოვრებელი სახლი აღნიშნული ობიექტიდან დაშორებულია 550მეტრით.

სოფელი სიქთარვა მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში. დაბლობის რელიეფი აქ აკუმულაციურია, წარმოდგენილია მდინარე ჩოლაბურის პირველ ჭალისზედა ტერასული საფეხურით, რომელშიც მდ.ჩოლაბურის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარიდან 10-20 მეტრის დაშორებით მოწყობილია საინფილტრაციო 2 ხელოვნური წყალსაცავი სადრენაჟო სათავე ნაგებობის კვების მიზნით. ტერასული საფეხურის ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ოდნავ შესამჩნევი ლამბაქისებრი და ღარტაფისებრი ხაზოვანი ჩადაბლებებით. რელიეფის ცალკეული მიკროფორმების ერთმანეთში გადასვლა თანდათანობითი, რბილი და შეუმჩნეველია. ზედაპირი ერთიანი და დაუნაწევრებელია, სუსტი ქანობით (1-30-მდე) ჩრდილოეთით, მდ.ჩოლაბურის მიმართულებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოები მიზნად ისახავს წყალდიდობის დროს მდინარე ჩოლაბურის მარჯვენა ნაპირის დაცვას ეროზიისგან სამ იარუსიანი გაბიონის ტიპის ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის გზით,საპროექტო გაბიონის სიგრძე შეადგენს 166 მეტრს და შედგება ე.წ „ლეიბის“ და სამი იარუსის ფენისგან. გაბიონის გადაბმა მოხდება მოთუთიებული მავთულით 2.2მმ-0.5 მ. ბიჯით, რაოდენობა 4750 კვანძი, იგი გამაგრებული იქნება დატკეპნილი უკუყრილით.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით დაგეგმილია ორი ერთეული (ოცდაათი მეტრი და ორმოცი მეტრი) დროებითი წყალამრიდი ნაყარის და სამოცდაათი მეტრი სიგრძის დროებითი წყალამრიდი არხის მოწყობა წყალსაცავი, რომლისთვისაც

ხორციელდება ნაპირდაცვითი გამაგრების მოწყობა, წარმოადგენს თერჯოლის წყალმომარაგების ჰორიზონტალური დრენაჟის გამდიდრებისთვის საჭირო მოცულობას, რომლის ფართობია 4823 $მ^2$, წყლის მოცულობა 3600 $მ^3$.

პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას. ტერიტორიამდე მისასვლელი გრუნტის გზის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.შესაბამისად გზის მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება არაა მოსალოდნელი.

მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხი განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

გაბიონის ტიპის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს სამშენებლო მანქანა-დანადგარებმა, რომელთაც ექნებათ დროებითი ხასიათის ზემოქმედება.

ზედაპორული წყლების დაბინძურების შემცირების მიზნით მოხდება სამშენებლო სამუშაოების პროცესში გამოყენებული მანქანა დანადგარების განთავსება ობიექტიდან არანაკლებ 50 მეტრში და მათი ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა.

ბიომრავალფეროვნების მხრივ საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მრავალწლიანი ნარგავები, შესაბამისად ფლორაზე რაიმე სახის ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ფაუნაზე უმნიშვნელო ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მხოლოდ მშენებლობის ეტაპთან.

ვინაიდან, აღნიშნული პროექტი ხორციელდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე და არ ხდება სხვა ტერიტორიის ათვისება, ამასთან აღნიშნული პროექტი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დადებითი ხასიათისაა და უზრუნველყოფს მდინარის ნაპირის დაცვას ეროზიისგან, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქმიანობა არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის ამავე კოდექსის II დანართის 9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქალაქ თერჯოლის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ნაპირდაცვითი სამუშაოები **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია'' ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი